



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისია
GEORGIA
RUSTAVI CITY ASSEMBLY
FINANCE-BUDGETARY COMMISSION



წერილის ნომერი: **39-39210682**
 თარიღი: **09/03/2021**

ადრესატი:

ლევანი ონიანი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

ბატონო ლევან,

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 9 მარტს გაიმართა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის რიგით #55 სხდომა, რომლის დღის წესრიგით განხილულ იქნა ერთი საკითხი-

-ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

> საკითხის შესახებ

2020 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმა შესრულებულია 106 %-ით, მათ შორის : გადასახადების გეგმა-103 %-ით, გრანტების გეგმა-111 %-ით, სხვა შემოსავლების გეგმა-110 %-ით. არა ფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია 1 912,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 117 %-ია, საიდანაც 52 % მიწის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალია. ხარჯების გეგმა შესრულებულია 95,1 %-ით.

2020 წლის ახალი კორონავირუსის პანდემიის პირველი ტალღის დასრულების შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში შესული ცვლილებების შესაბამისად დაზუსტდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტისათვის კანონმდებლობით დადგენილი მისაღები შემოსავლების პარამეტრები, რის გამოც დაკორექტირდა ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების ნაწილის გეგმა, კერძოდ :

Ø შემოსავლების გეგმა შემცირდა 4 846,3 ათ. ლარით;

Ø სხვა შემოსავლების ნაწილში დასუფთავებისა და ტრანსპორტის მოსაკრებლისაგან განთავისუფლების შედეგად შემოსულობებს დააკლდა 330 ათ. ლარი, ხოლო სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი შემცირდა 1 294 ათ. ლარით, რაც საერთო ჯამში სხვა შემოსავლების გადაჭარბებით დაკომპენსირდა.

საგადასახადო შემოსავლების კომპენსაციის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ გამოყოფილ იქნა 3 100 ათ. ლარი, ხოლო დარჩენილი ნაწილის დასაბალანსებლად რუსთავის მუნიციპალიტეტს მოუწია გადასახდელების ნაწილში ხარჯების შეკვეცა 1 700 ათ. ლარით.

გადასახდელების ეკონომიკური კლასიფიკაციით გადასახდელების გეგმა შესრულდა 92,4 %-ით, საიდანაც შრომის ანაზღაურება დაფინანსდა -99 %-ით, საქონელი და მომსახურება -95 %-ით, სასესხო ვალდებულების პროცენტი -100 %-ით, სუბსიდია -89 %-ით, გრანტები -97 %-ით, სოციალური უზრუნველყოფა -91 %-ით, სხვა ხარჯები -91 %-ით, არა ფინანსური აქტივების ზრდა -88 %-ით, ვალდებულებების კლება -100 %-ით.

გადასახდელების ფუნქციონალური კლასიფიკაციით ხარჯვითი ნაწილის გეგმა შესრულდა -92 %-ით, საიდანაც საერთო დანიშნულების მომსახურება დაფინანსდა -96 %-ით, თავდაცვა -93 %-ით, ეკონომიკური საქმიანობა -94 %-ით, გარემოს დაცვა -96 %-ით, საბინაო-კომუნალური მეურნეობა -90 %-ით, განათლება, დასვენება, კულტურა და რელიგია -90 %-ით, ჯანდაცვა და სოციალური დაცვა -92 %-ით.

ცალკეული მუხლების შიგნით ადგილი აქვს თანხების არათანაბარ ათვისებას, რაც განმარტებების მიხედვით განპირობებულია ეპიდვითარებიდან გამომდინარე შესაბამის პროგრამებზე სახელმწიფო სუბსიდირების პროგრამის გავრცელებით, მომართვიანობის ნაკლებობით.

2020 წლის ბოლოს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშზე არსებული ნაშთი შეადგენს 7 945 ათ. ლარს.

2020 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის გეგმა იყო 1 240 ათ. ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 1 180,2 ათ. ლარი, რაც გეგმის 95,2 %-ია. გაწეული ხარჯიდან COVID-19-ის პრევენციის ღონისძიებებზე დახარჯულია 789,9 ათ. ლარი.

განხილვის შემდეგ კომისიამ მხარი დაუჭირა საკითხის საკრებულოს ბიუროზე გატანას.

პატივისცემით,

გრიგოლ ვეფხვაძე

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საფინანსო - საბიუჯეტო კომისია-საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე